წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. კვირა 19 ივნისი

საქართველო

№384

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის [illegible] ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „საქართველო-“ს რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას ცნობილი ისტორიკოსისა და ლიტერატორის

ალექსანდრე თეოდორეს ძის

ყიფშიძის (ფრონელის)

უდროოდ გარდაცვალებას.

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, კვირას, 19 ივნისს, დილის, 11 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში.

გულდათუთქულნი მშობლები: ნატალია ფეონტის ასული ოსიძისა და სოლომონ პორფირეს ძე ოსიძე, ძმა და დები: ალექსანდრა, ეკატერინე და ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 21 ივნისს, დილის 11 საათზე, ქ. ფოთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ნახუტურო) გადახდილ იქნება მეორე წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ და ტრაგიკულად დაკარგულის უსაყვარლესი და დაუვიწყარი მათი შვილისა და ძის

ქსენიას

სულის მოსახსენებლად. 1—1—218

ოდა სოფრომის ასული კანდელაკისა, მდედელი ვასილ კანდელაკი, შვილები მათი: ნადეჟდა, სოფიო, ალექსანდრა, ბარბალე, ეგეგენი, ვასილი და ბორისი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ, პირველნი უსაყვარლესი შვილის და უკანასკნელნი ძვირფასი ძმის

ნიკოლოზ (ნიკო) ვასილის ძის კანდელაკის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 19 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში (მესხეთის ქუჩა).

ტხედრს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან (მესამე ალექსანდროვის ქუჩა).

218 1—1

16 ივნისს, დილით, უეცრათ გარდაიცვალა

დავით ივანეს ძე ჩოჩიავა,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე გარდაცვალებულისა პასიკო დავითის ასული, შვილები: მარიამ ივანოვისა შვილებითურთ; ელენე, იაგორა და ვანო ჩოჩიავები. პანაშვიდები საღამოს 7 საათზე. გამოსვენება საკუთარი სახლიდან (თფილისის ქუჩა, ობორინის შესახვევში) კვირას, 19 ივნისს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე.

217 3—3

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 16 ივნისიდან ახალი პროგრამა.

ჩვენს მოკავშირეთა სამხედრო ქარხნებში.

ბუნებრივი.

საყვირის ხმაზე

ძლიერი დრამა მუშათა ცხოვრებიდან 3 ნაწილად.

მაშო კარგია, მაგრამ სხვისია.

კომიკური.

ანონსი: ორშაბათიდან, 20 ივნისიდან ნაჩვენები იქნება: **პატე ჟურნალი**, მიმდინარე ამბები

ველურთა ხელში ძლიერი დრამა 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

სალომეს ბოლო. კომიკური.

„რადიუმი“ აცხადებს, რომ **ა. პუპრინის** ცნობილი სურათი **„ბარყვნილების ბოლოვი“**, რადგან დიდ ეურადღებას იქცევს, ამიტომ თბილისში დააკავეს განმეორებით საჩვენებლათ. რის გამოც მისი ჩვენება ქუთაისში გამოცხადებულ დროზე ვერ მოხერხდა. სურათის ჩვენების დრო ცალკე გამოცხადდება.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი ა. მ. **ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 16 ივნისიდან ახალი პროგრამა.

ზმანება

თანამედროვე დრამა 4 ნაწილად მონაწილეობას დებულობენ: ვ. ა. ჰოდინსკისა, გრამოვისა და სხვ. სცენარი ე. ტისოვისა.

ანონსი: ორშაბათიდან, 20 ივნისიდან ნაჩვენები იქნება:

პატე ჟურნალი. მიმდინარე ამბები.

ჰეი, რაშებო, გასწიეთ მარდათ. ძლიერი დრამა 4 ნაწილ. მოსკოვის ყოფილ მილიონერის ცხოვრებიდან და ცნობილ რუსულ სიმღერის შინაარსზე შედგენილი. მონაწილეობენ ცნობილი მსახიობნი: ბაკშეევი და აგათა ბერლენი.

ნადირობაც ამასა ჰქვიან.

კომიკური.

ადგილების ფასი **„ამპირსა“** და **„რადიუმი“**; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის სელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. **„საქართველოს“** რედაქც.

ბეგია მ. მ. **კოტხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თეოდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **ი. ჩარეიძოვი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს ანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, 12½—2 საათ. საღ. 6—8 საათ.

მისამართი: ლევაშოვი ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

მსოფლიო ომი.

დეკემბერი.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 17 ივნისი. ქალაქი კოლომეია, (ამ ქალაქში თავს იყრის ბუკოვინის უმთავრესი რკინის გზები) დღეს ჩვენი ჯარის ფრთამ დაიკავა. მოპირდაპირე უკან იხევს და მაგრდება წინასწარ დამზადებულ პოზიციებზე. კიმპლონუას ჩრდილო-დასავლეთით მტერი მრავალრიცხოვანი ჯარით ცდილობს შემოტევას. გენერალ ლეჩიცკის ძლევამოსილ ჯარს ძლიერ ცუდ პირობებში უხდება მოქმედება. დიდმა წვიმებმა ისედაც უვარგისი გზები მთლად დახრამეს და გააფუჭეს. მდ. ლიპისა და სტირის შესართავთან (ლუცკის შუა ხაზზე) მტერმა მსუბუქი და მძიმე არტილერიის ცეცხლის დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენს ბანაკზე გაენკისა და ნატალინთან. ჩვენმა ჯარმა მტერი გამაგრებულ ხლართებამდი მოუშვა და თოფის ცეცხლით ამოჟლიტა. მდ. ლიპის რაიონში ერთჯერ კიდევ დამარცხებული მოპირდაპირე შეეცადა ახალი იერიშის მოტანას. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ტყვეთა რაოდენობა 22 მაისიდან 15 ივნისამდი უდრის 212000 კაცს. ამ რიცხვშია მოთავსებული აფიცრობაც. ტყვეთა წამოყვანას განვაგრძობთ.

დნესტრის სამხრეთით მტერი უწესრიგოთ უკან იხევს და გზაში სტოვებს საბარგო ურმებს და სურსათს. ჩვენ დევნას განვაგრძობთ. მიღებულია ცნობები სოფელ ობერტინისა და მისი მიდამოების აღების შესახებ, სამხრეთითა და ჩრდილოეთით.

სოფ. ნისტინთან (კუტის ჩრდილო-დასავლეთით) ბრძოლა გრძელდება. უკანასკნელად მომხდარ ერთ ერთ ბრწყინვალე ბრძოლაში დაიჭრა მამაცი გენერალი კელერი. სოფელ სოლოვინთან (მდ. სტოხოდსა და სტატს შუა, სოკულის დასავლეთით) გერმანელები შეეცადენ იერიშის მოტანას. ამისათვის მათ წინასწარ გამოუშვეს სულის შემხუთავი გაზი, რომელმაც ჩვენამდი ვერ მოაღწია ძლიერი ქარის გამო. ნაწილი მოშხამული კვამლისა ქარმა თვით გერმანელებს მიუბრუნა, ნაწილი გაფანტა. გერმანელების იერიში მოგერებულ იქნა. საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

16 ივნისს მოპირდაპირის მფრინავებმა ლუცკს 30 ყუმბარა ესროლეს. კოლ კოვბანთან, მდ. ლიპისა და სტირის შეართავის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარის ნაწილი პოლკოვნიკ გრემებეცკის ხელმძღვანელობით შეუმჩნევლად მიუახლოვდა მტრის კოლონას და აკუწა მტერი უგზოუკვლოდ გარბოდა.

მდ. დვინის ფრონტზე მტრის არტილერია ყუმბარებს უშენდა ჩვენს პოზიციებს რიგის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ილუკსტის ჩრდილოეთით გერმანელებმა გუშინ იერიში მოიტანეს, მაგრამ მოვიგერიეთ არტილერიის ცეცხლით. მდ. ნემანის ნაწილში ნოვოგრუდკის სამხრეთ აღმოსავლეთით, 15 ივნისს, საღამოთი, გერმანელებმა მძიმე და სუბუქი არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ჩვენს თხრილებს. ამ ცეცხლის დახმარებით მტერი გადმოვიდა მდ. ნემანზე და დაიკავა ტყე სოფ. გნესიჩის აღმოსავლეთით.

კავკასიის ასპარეზი.

გიუმიშხანის მიმართულებით 15 ივნისს, გათენებისას, ოსმალებმა მრავალრიცხოვანი ძალებით ჩვენს მოწინავე ჯარზე იერიში მოიტანეს და შემოიჭრენ ბანაკში. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ჩვენმა ჯარმა მალე აღადგინა თავისი მდგომარეობა და ოსმალები დიდის ზარალით უკუაქცია, სდევნა და წინ წაწეულ ადგილზეც დამკვიდრდა.

პარიზი 16 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა საპინიოლის ჩრდილო დასავლეთით, ოკასონისა და რეიმსს შუა ფრანგები გერმანელთა თხრილს დაეცნენ, დაუნგრიეს საფარი და წამოიყვანეს ტყვეები. მონტეგიუდან მელინის გორაკამდის, ტაგიურის ჩრდილოეთით, ფრანგთა არტილერიამ გერმანელთა თავდასაცავები დანგრია. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელები მკაცრად უშენდენ 304-ის და ავოკურის ტყის მიდამოებს. 4 საათზე 30 იერიში მიიტანეს 304 დასავლეთით მდებარე პოზიციებზე, მაგრამ თოფისა და ზარბაზნების ცეცხლით მოიგერიეს. შუა დღის უკან ავოკურის ტყეში ხელის ყუმბარებით ბრძოლა მოხდა. მაასის მარჯვენა ნაპირზე ქვეითა ჯარებს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ; ფლერის ტყის და ვო შაპიტრ-შენუას მიდამოებში არტილერიის ცხოველი მოქმედება გრძელდება.

ჰავრი. 16 ივნისი. ოფიციალური ცნობა. არტილერიის ძლიერი ცეცხლია გაჩაღებული მთელ ბრძოლის პირზე და განსაკუთრებით რამსკაპელეს აღმოსავლეთით სტეენსტრატესთან.

პარიზი. 16 ივნისი. დღის ოფიციალური ცნობა ტაგიურის ახლოს, მაღნეულ გორაკის დასავლეთით მოულოდნელად ფრანგები თავს დაესხნენ გერმანელებს, განდევნეს პირველი წყება სანგრებიდან, ზოგ ალაგას მცირე ხაზის სანგრებსაც მიაღწიეს და გერმანელთა საფარები ააფეთქეს. მაასის მარცხენა ნაპირზე საატილერიო ბრძოლაა, ქვეითა ჯარი მონაწილეობას არ იღებს. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელები მთელი დღე ლშენდენ პოზიციებს ტიომონის ჩრდილო-დასავლეთით და შემდეგ იერიში მიიტანეს; ფრანგებმა ტყვიის მფრქვევლების ჯვარედინი ცეცხლი აუტეხეს გერმანელებს და შეაჩერეს; გერმანელთა ზარალი მნიშვნელოვანია. ღამის განმავლობაში გერმანელები უშენდენ შენუას მიდამოებს.

შემეახ. 16 ივნისი. საღამოს 9 საათსა და 20 წამზე მიწა იძრა ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით.

ქურნალ-გაზეთებიდან.

— —

გალიციაში დიდი მოძრაობა დაწყებულა. ქალაქში ბარიკადებია მოწყობილი.

— —

ოსმალეთის ხონთქარი არაბთა აჯანყების გამო ქ მექას წავიდა. ფიქრობენ, ხონთქარი უკან აღარ დაბრუნდებაო.

— —

ლიბავაში გერმანელებს ჰინდენბურგისთვის ძეგლი დაუდგამთ.

— —

ლიბკნეხტის გასამართლების გამო, ბერლინის ქუჩებში დიდი მანიფესტაცია გაიმართა. მანიფესტანტები მოითხოვდენ საჩქაროდ „ზავის“ ჩამოგდებას. პოლიციამ 800 კაცამდი დაატუსაღა,

— —

ჰინდენბურგისა და ფალკენჰაინის თანადასწრებით მეზიერში სამხედრო თათბირი მომხდარა. თათბირს გადაუწყვეტია გალიციისა და-რიგა-დვინის ასპარეზზე ძლიერი შემოტევა დაიწყონ.

— —

სოლუნის ფრონტზე არტილერიის ბრძოლა სწარმოებდა, უპლიცის ხაზზე მოწინააღმდეგენი ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდენ. ინგლისელებსა და ფრანგებს 17 კაცი დაეღუპათ.

— —

ოსმალეთ-ბულგარეთის ხელშეკრულობის ძალით 13 ივნისს სოფიიდან სტამბოლში 200 ვაგონი სიმიდი მოზიდეს. 16 ივნისს უნდა მოსულიყო ბულგარეთის ჯარის ერთი დივიზია, რომელიც ოსმალებმა მცირე აზიაში უნდა გამოგზავნოს.

— —

გენერალი ბუტურლინი გერმანიისა და ოსმალეთის დანაწილებას ამ სახით მოითხოვს: ელბის საჰერცოგო დანიას უნდა დაუბრუნდეს; პომერანიისა—შვეიცას, სილეზია-

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. ბუკოვინაში რუსებმა აიღეს ქალ. კოლომია. სოფ. აბერტინთან რუსებს დაუჭრეს გენ. კელლერი. რუსებს ბუკოვინაში კვლავ წამოუყვანიათ ტყვეები.

კავკასიის ასპარეზი. გუმიშხანის მიმართულებით 15 ივნისს გათენებისას ოსმალები იერიშით წამოვიდნენ და რუსებს ზურგით მოექცნენ, მაგრამ რუსებმა მოიგერიეს და წინაც წაიწიეს.

დასავლეთის ასპარეზი. საარტილერიო ბრძოლაა. ვერდენთან გერმანელებმა 30-ჯერ იერიში მიიტანეს, მაგრამ ფრანგებმა მოიგერიეს.

იტალიის ასპარეზი. ორივე მხარე იერიშებს აწარმოებს.

ავსტრიას, ბერლინი თავისუფალ ქალაქად უნდა გამოცხადდეს. აღმოსავლეთი პრუსია პოზნანით და პოლონეთით რუსეთის სკიპტრის ქვეშ უნდა მოექცეს და აგრეთვე სრუტეები ადრიანოპოლი და არზრუმ-ტრაპიზონი რუსეთის მფლობელობაშიუნდა დარჩეს. ევროპისა და აზიის ოსმალეთი მოკავშირეებმა უნდა გაინაწილონ.

——

რიგა-დვინის ასპარეზზე გერმანელებს სასტიკი შემოტევები დაუწყიათ.

——

კავკასიის ასპარეზზე მოქმედება შეჩერდა, რადგანაც ძლიერი სიცხეები დაიწყო.

——

„ტაიმსი“ სწერს: გერმანელები უდიდეს ყურადღებას ჩრდილო-დასავლეთის ფრონტს აქცევენ. უკანასკნელად მომხდარ სამხედრო თათბირის დროს, რომელ თათბირსაც ვილჰელმი დაესწრო, გადაუწყვეტიათ პომერანიისა და სილეზიის კორპუსები გალიციისკენ გაგზავნონ.

——

ენვერ ფაშას უთქვამს: ყველა უბედურებისგან თავის დაღწევის იმედი მქონდა, მხოლოდ არაბთა აჯანყებას კი არ ვიცი, როგორ გადავურჩებითო: „ტანინი“ სწერს: ენვერ-ფაშას მოთხოვნილებით, სულთანი მაჰმდი პამოდი მექას წავიდაო.

——

სტოკჰოლმიდან იუწყებიან: არაბეთის აჯანყებას წმინდა ხალხოსნური ხასიათი აქვსო. მეამბოხე არაბეთ ოსმალეთის ქვეშევრდომი ერები თანაგრძნობას არ უცხადებენ. ეს გარემოება ევროპის პრესას ძლიერ აკვირვებს

——

სტამბოლის მთავრობამ არაბეთის აჯანყების ჩასაქრობათ გაჰგზავნა არაბეთში ნამსახური ღენერალი მუსტაფ-ფაშა. მუსტაფ-ფაშა მეამბოხეებს შეუპყრიათ და მისი რაზმის კაპიტულიაცია მოუხდენიათ.

——

ოსმალეთის მთავრობას ყველა უცხოელ მწარმოებლისთვის ქონება ჩამოურთმავია.

——

რუსეთის მთავრობამ ავსტრიაში რუსეთის ტყვეების მოსავლელად 36 მოწყალების და გაგზავნა.

——

კავკასიის ასპარეზზე მოსკოვის საიმპერატორო თეატრის მსახიობნი წარმოდგენებს აწყობენ

——

„ბირჟ. ვედ“. ცნობით, ვერდენთან გერმანელებს 415000 კაცი დაჰკარგვიათ.

——

პარიზში დაარსდა ცნობილი მოღვაწის ჟორესის სახელობის საზოგადოება, რომლის მიზანია ჟორესის აზროვნების შესწავლა და მისი გავლენის გაძლიერება.

——

საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა 30 ივნისამდე გადაიდვა. კონფერენცია მოხდება ჰააგაში. მონაწილეობას მიიღებენ ყველა ნეტრალ სახელმწიოს წარმომადგენლები

——

ბულგარეთის მსახიობეაი სტამბოლში მოვიდენ და ოსმალურ-ნაციონალურ წარმოდგენებს მართვენ.

——

ამ ცოტა ხანში რუსეთში მოელიან იაპონიის სამხედრო დელეგაციას.

——

„ეურნალ დე ბალკან“ იუწყება: აღმოსავლეთის ასპარეზზე გერმანელებმა 22000 კაცი გამოგზავნესო.

——

თეირანში მცხოვრებნი ბახტიართა ხანები უარჰყოფენ ხმებს ისფაჰანში არეულობის დაწყების შესახებ.

——

ბერლინში ჩასულა ბავარიის მეფე, რომელსაც ხანგრძლივ უსაუბრია იმპერიის კანცლერთან და სამხედრო პირებთან. ბავარიის მეფე მოითხოვს, რომ უსათუოდ დამთავრებული იქნეს ვერდენის ოპერაცია.

——

ბუკოვინიდან რუმინიაში დიდძალი გამოქცეული გადავიდა.

——

რუმინიამ ავსტრიის ჯარს, რომელიც მის მიწა-წყალზე გადავიდა, უკან-დახევის დროს იარაღი აყარა.

——

ბუკოვინაში დიდი შიმშილობა ყოფილა. პური სრულებით აღარ იშოვება.

——

პომერანიაში ვილჰელმს გაუვლია და უთქვამს: ჩვენი გამარჯვება აუცილებელია. ბრძოლის ველს კიდევ რამდენიმე ასპარეზი რომ მიემატოს, ჩვენ მაინც ვერაფერს დაგვაკლებენო.

——

მაკენზენს გალიციაში სამოქმედოთ სრულიად ახალი გეგმა შეუდგენია.

——

ვიშნევოსთან და სმორგონთან ძლიერი ბრძოლა დაიწყო.

——

სამხედრო მიმოხილვა

ბუკოვინის ბრძოლის მსვლელობა.

შტაბის ცნობა დღეს გვატყობინებს, რომ გენ ბრუსილოვის არმიის მარცხენა მხარე კვლავ უტევს ავსტრიელებს. რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი და დავლა ჩაუგდია ხელში.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ტარნოპოლთან ავსტრიელები ვერც კი იქნენ დაძრულნი ადგილიდან და ტარნოპოლის ჩრდილოეთით კი მედგარი იერიშებიც მოაქვთ რუსებზე. აქ რამდენიც არ ეცადნენ რუსები, ვერ განდევნეს ავსტრიელები პირიქით, დიდი უნარის გამოჩენა დასჭირდათ ავსტრიელთა საპასუხო შემოტევის შესაჩერებლად.

ამავე დროს კი ბუკოვინაში თამამად განაგრძობს რუსის ჯარი წინსვლას და ზიანსაც აყენებს მოწინააღმდეგეს.

გამოდის, თითქოს ისევე ავსტრიელები გალიციის ჩრდილოეთ ნაწილში იმდენად ძლიერები იყვნენ, რომ აქტიური მოქმედებაც კი ძალუძდეთ და სამხრეთით კი არამცთუ აქტიურობა, არამედ ადგილობრივ ფეხის მოკიდებასაც ვერ ახერხებენ, მნიშვნელოვან პუნქტებს შედარებით ადვილად ანებებენ და დიდ დავლასაც უგდებენ ხელში.

ჯარისა და ტეხნიკის ღირსების ასეთი ცვალებადობა შეუძლებელია და ალბად ამ შემთხვევაში უფრო სხვა ხასიათის მოვლენასთან გვაქვს საქმე ამას, სხვათა შორის გვაფიქრებს ის, რომ გერმანელ და ნეიტრალურ გაზეთების მიმომხილველნი გვარწმუნებენ, ავსტრიელებისათვის არ იყო მოულოდნელი რუსების შეტევა და ბევრი პუნქტი წინდაწინ ჰქონდათ დაცლილიო.

უცნაური მოხაზულობა მიიღო თვით ბუკოვინის ბრძოლის ხაზმაც.

ტარნოპოლიდან მოყოლებული ბრძოლის ხაზი სამხრეთ დასავლეთით მიდის და აღწევს კოლომიას, რომელიც რუსებს 16 ივნისს დაუპყრიათ. ეხლა ავსტრიელები უკვე შედარებით დიდ წინააღმდეგობას უწევენ რუსებს. ასე მაგალითად. კოლომიის ჩრდილო-დასავლეთით ბრძოლა კვლავ გრძელდება და იმდენად მკაცრია ეს ბრძოლა, რომ რუსებს ერთი გენერალიც კი დაუჭრეს.

კოლომიიდან ბრძოლის ხაზი კვლავ სამხრეთ დასავლეთით მიდის, რუმინიის საზღვრამდე. გენ. ლეჩიცკის ჯარის წინსვლა კვლავ სამხრეთ დასავლეთით გრძელდება.

სწორედ ეს გარემოება არის გაუგებარი: რა სწადიათ რუსის მხედრობის უმაღლეს ხელმძღვანელებს გენ. ლეჩიცკის წინსვლით, ნუ თუ ტრანსილვანიისაკენ გალაშქრება?

თუ მართლა ეს არის მიზანი ბუკოვინის ჯარის წინსვლისა, რუსის მხედრობას, როგორც აღნიშნული გვქონდა, ძნელ პირობებში მოუხდება მოქმედება.

შვერელი.

ქუთაისი, 19 ივნისი.

კიდევ საზოგადოებრივ აზრის შესახებ.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება მცირე, მაგრამ მრავალმეტყველი წერილი „ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ

ბევრს არ მოეწონება ეს წერილი, ბევრს კი დააფიქრებს და თვალწინ დაუყენებს უცნაურობით აღსავსე ჩვენს შინაურ ცხოვრებას.

მართლაც, ნუ თუ დრო არ არის, რომ ბოლო მოეღოს ჩვენს ასეთს გამოურკვევლობას?

ნუ თუ დრო არ არის, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრათ გადასაჭრელი, ერთხელ და სამუდამოთ გამოვარკვიოთ გამოურკვეველი?

ნუ თუ დრო არ არის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვსპოთ მიზეზი შუღლისა, პარტიულის ჟინიანობისა?

ნუ თუ დრო არ არის, რომ ერთხელ-და სამუდამოდ ვიჩვენოთ ჩვენს ახალთაობას შეცდომანი ჩვენნი და გაუკაფოთ გზა სავალი უკეთესისა და შეგებებული ცხოვრებისათვის?

ჩვენ ვგრძნობთ, რომ „ასახილებელი“ წერილი ჯერჯერობით „ბოლტვაზე“ ხაყოფს ვერ გამოიწვევს და [illegible] რადგან ჩვენ დიდი უსიამოვნებაც მოგვაყენოს, მაგრამ გვინდა კი, რომ საზღვარი დაედვას გამწვავებულსა და გაბორტებულ ურთიერთობას ჩვენში არსებულ ჯგუფთა შორის...

როგორ და რა გზით?

ერთ ერთს საშუალებაზე ეს წერილი გვითითებს, დანარჩენი. დაე, თვით საზოგადოებამ გამონახოს.

ასე ყოფნა კი შეუძლებელია. ვინაიდგან, თუ დავუკვირდებით ჩვენს პრესასა და ურთიერთობას, გამოდის: ჩვენში პარტიები იმიტომ კი არ არსებობენ, რომ ჩვენი ცხოვრება სხვადასხვა მხრით გააშუქონ და ახალ საქართველოსა და მის ხალხს ნამდვილი გზები აჩვენონ ცხოვრების გასაუმჯობესებლად, „არამედ ჩვენში პარტიები იმიტომ არსებულან. რომ მისმა წევრებმა ერთმანეთი დასჭამონ, უთავბოლო პოლემიკით წარღვნან ჟეშმარიტება და ჟინიანობით თავგზა აურიონ, როგორც მშრომელ ხალხს, ისე ახალთაობას.

აბა, რასა ჰგავს პოლემიკა „თანამედროვე აზრსა“ და „სახალხო—ზვირთ—მეგობარს“ შორის, ან ყოყოჩაობა და უმართებულობა „მეგობარ—სახალხოსი“ ჩვენს წინააღმდეგ?..

ასეთი კილო წერისა და ასეთი წესი მოპყრობისა, ვიმეორებთ, ყველას გვამცირებს და საჭირო საკითხებიც გამოურკვეველი რჩება...

ჩვენში სულ სამი პარტია არსებობს.

ორი მათგანი ეს ათი-ხუთმეტი წელიწადია, რაც მოქმედებს, მესამე კი ახლა გამოვიდა...

სადავო და საკამათო ამ პარტიებს ძალიან ბევრი აქვთ ერთმანეთში, მაგრამ ეს კამათი უნდა ხდებოდეს იდეისა და არა პიროვნების გარშემო.

ჩვენ კი იდეას ვაფუჩეჩებთ და პიროვნებებს ვარჩობთ!

ეს სენი ძველი და დახავსებული სენია ჩვენის ცხოვრებისა და, თუ მართლა რისმე გაკეთება გვინდა, პირველ ყოვლისა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ავხადოთ აფსკა ჩვენ საზოგადოებრივ იარებს, ბალღამი გამოვუშვათ და ჭრილობებს დავადოთ ის გამკურნებელი მალამო, რომელსაც საზოგადო. საერთო საქვეყნო მოქმედება ჰქვიან.

ქალაქი და სოფელი.

კარლ მარქსმა უკვე მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებში აღიარა: ქალაქის უპირატესობა სოფელზე. თანამედროვე პოლიტიკურსა და სოციალურ ჯხოვრებას ქალაქი ანიჭებს თავის შესაფერს, დემოკრატიულ ხასიათსა და ელფერსო, ამბობდა.

და მისმა მიმდევრებმა ამ აზრს ახალი ვერა დაუმატეს-რა,

ჩვენი მარქსისტების შეხედულება კი ამ საძიებელზე კიდევ უფრო ცალმხრივი შეიქნა: რამდენიმე ათი წლის განმავალობაში ისინი სულ იმას იმეორებენ, არა არს ქვეყანაზე არაფერი კარგი და პროგრესიული თჳნიერ ქალაქისა და მისი პროლეტარიატისო და სოფელი მხოლოდ იმდენად არის პროგრესიული მოქმედი ძალი, რამდენადაც გაქალაქებულიაო.

მაგრამ შეიძლება თუ არა საძიებელი საკითხის ასე დაყენება? ვფიქრობ, რომ არა: სოფელსა და ქალაქ შორის შრომის სოციალური განაწილება და შენაწევრება სუფევს და, მაშასადამე, იმის თქმა, ქალაქს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სოფელსო, უდრის თქმას, სხეულისათვის თავის ტვინს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე, მაგალითად კუჭსო.

დიაღ! სოფელი და ქალაქი ერთს შენაწევრებულ მთელს წარმოადგენენ და არც ერთი არ არის მეორეზე უფრო მნიშვნელოვანი.

იმავე დროს თჳთეული მათგანი განსაკუთრებულ დანიშნულებას ასრულებს, თჳთეულს განსხვავებული შემოქმედებითი წვლილი შეაქვს სოციალური ორგანიზმის ცხოვრებაში.

რა დანიშნულება აქვს ქალაქს?

ეკონომიური მხრით, ის სავაჭრო საქონელთა მიმოცვლისა და საქარხნოსი და სამთამადნო წარმოების ცენტრია. იქ იყრის თავს საქონელი ყოველი კუთხიდან და იქიდანვე განითესვება საქალაქო გარემოჲს ყველა კუთხეში. იქვეა საკუთარი საქარხნო ან სამთამადნო წარმოება.

ამიტომ საქალაქოსი ანუ საქარხნო წარმოების გაუმჯობესებას ყველაფერი ხელს უწყობს: იარაღის შეძენის სიადვილე. მუშათა და გამოცდილ ხელოვანთა სიმრავლე. უცხო საქონლის ნიმუშები და სხ.

შეიძლება, თანამედროვე ქალაქი რკინის გზაოა ქსელის ისეთივე კვანძებს შევადაროთ, ნერვების ქსელს რომ ნერვიული კვანძები აქვს. და ეს მსგავსება უბრალო შემთხვევა კი არ არის, არამედ ერთგვარი აუცილებლობისაგან წარმოდინარეობს.

პოლიტიკურად ქალაქს ყოველთვის პროგრესიულ-დემოკრატიული მნიშვნელობა ჰქონია. სოფელი უფრო მცირე რიცხოვანი, განმარტოებული და უძლური იყო და მაშასადამე მისი დამორჩილება და დამონება უფრო ეადვილებოდათ ხოლმე დესპოტებს. ამიტომ ძველ დროში პოლიტიკურ-სოციალური თავისუფლება მხოლოდ მთათა სოფლებს-ღა შერჩენოდათ.

ქალაქი კი ამ მხრით იგივე მიუვალი მთა იყო, რადგან, ჯერ ერთი, ხალხის სიმრავლეს შეიცავდა და, მეორე, უკეთესი საომარი იარაღი და სიმაგრე მოეპოებოდა, ვიდრე სოფელს. ამიტომ სამოქალაქო თავისუფლებათა სიმტკიცე—ქალაქებში იშვა და გაიზარდა.

შეიძლება ითქვას, ევროპის საშუალ საუკუნეთა ისტორია იყო ქალაქთა ბრძოლა ჯერ ფეოდალებთანა და შემდეგ თჳთმპყრობელობასთან, აბსოლუტიზმთან სამოქალაქო უფლებათათვის. და არ არის ასეთი ქალაქი, რომ თავისი საკუთარი ბრძოლისა და თავგადასავლის მწარე და სასიამოვნო მოგონებანი არა ჰქონდეს.

მეცხრამეტე საუკუნის ყველა დიდი პოლიტიკური მოძრაობის ინიციატივა ქალაქებს ეკუთნოდა და 1789 წლის დიდი რევოლუციის თაოსნობა პარიზისა და საფრანგეთის სხვა ქალალაქების საქმე იყო

ცხადია, პოლიტიკური მოძრაობის უმთავრესი მოქმედი მიზეზი დღესაც ქალაქია: ყოველივე მიმართულება აქ იბადება, მწიფდება და ხორცს ისხამს.

და ქალაქებშივე შეიქნა შესაძლებელი მუშათა ერთს მჴიდრო პოლიტიკურსა და სოციალურ კლასად შენაწევრება

ერთი სიტყვით, ქალაქი დემოკრატიულ-პოლიტიკური მოძრაობის ფუძეა.

იმავე დროს ქალაქს, როგორც ადმინისტრაციულს, სამოსამართლოსა და სასწავლო ცენტრს, ერის შემკრებელობითი, შემნაწევრებელი მნიშვნელობა აქვს.

განსაკუთრებით ქალაქის სამეცნიერო მნიშვნელობა არის აღსანიშნავი. უნივერსიტეტები და მუზეუმები, ობსერვატორიები, ლაბორატორიები და წიგნსაცავები, მრავალი მეცნიერისა და ხელოვანის ერთად თავმოყრა, — ყველაფერი ეს ქალაქს გონებრივ ცენტრად და მაშასადამე ეროვნული წინსვლის უმთავრეს მემოქმედ ძალად ქმნის.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნება ეროვნული პროგრესის მარტო ცალი მხარე აღგვენიშნა, მეორე კი ყურად არ გვეღო. ქალაქში თუ ახალი, გაუმჯობესებული საწარმოო წესები იბადებიან, ძაგიერად სოფელი წარმოადგენს მზრდელ დედას, რომელიც ქალაქს ძუძუს აწოვებს.

პური, ეს უმთავრესი საზრდო, ჯერ კიდევ საქარხნო წარმოების საგნად არ გამხდარა და მიწაზე ითესება და იზრდება. და მარტო ეს კმარა, რომ სოფლის მნიშვნელობა არ დავამციროთ.

შეიძლება, ითქვას, კაცობრიობის პროგრესისწინსვლის უმთავრესი მოქმედი ძალი, ფაქტორი, სწორედ პურია. მისთვის ჩნდებიან ქალაქები, იკრიბებიან ხალხნი, ჩნდებიან სახელმწიფონი, წარმოობს საერთაშორისო ბრძოლა და იშობებიან მეცნიერებანი. პური კი ჯერ კიდევ მხოლოდ სოფელში მოჰყავსთ.

სოფელივეა ხილეულობისა, ღვინისა, სხვადასხვა სანოვაგისა და ქარხნისათვის საჭირო ნედლი მასალის -მომცემი. მაშასადამე, სოფელი — ქალაქის მრჩენელი, მკვებავი დედაა და უმისოდ ქალაქი არც კი იქნებოდა.

და, ცხადია, რამდენადაც უფრო მდიდარია სოფელი, იმდენად უფრო მდიდარია ქალაქიც. მაგალითად, რაც უფრო ნაყოფიერია მიწა და იაფია სასოფლო ნაწარმოები, მით უფრო საკმაო საზრდო მოეპრებათ ქალაქელთ და უფრო მრავლობს უკანასკნელთა რაოდენობა; რაც უფრო მდიდარი და მრავალფერია ნედლი მასალა, მით უფრო უხვი და უმჯობესია საქარხნო ნაწარმოები. და, საზოგადოდ, რაც უფრო დიდია ქვეყნის ქონებრივი სიმდიდრე, მით უფრო განვითარებულია მეცნიერებაცა და ხელოვნებაც.

ამიტომ, შეიძლება, ითქვას, რომ კაცობრიობის წინსვლის ერთერთი უმთავრესი მიზეზი — მეურნეობაა, ე. ი სოფელია. რაც შეეხება მოქალაქობას, იმ ქვეყნებს, რომლებშიაც მეურნეობა სჭარბობდა მრეწველობას, ყოველთვის მონობაზე აგებული ორგანიზაცია კი არა ჰქონიათ. თავისუფლება აქაც წინ უძღოდა მონობას. ჯერ თავისუფალი თემები ყოფილან და შემდეგ სამხედრო მდგომარეობას დაუჩაგრავს თავისუფლება და დაუმყარებია მონობა და თავისუფლებისადმი მიდრეკილება არაოდეს და არსად არ გამქრალა.

მთებში, მაგალითად, შვეიცარიაში და სხვ., არაოდეს არა სცოდნიათ ბატონყმობა გაიხსენეთ ჩვენი თუშ-ფშავ ხევსურები, მოხევეები, თავისუფალი სვანები და სხ. ერთი სიტყვით, სადაც კი თემს შეეძლო თავის დაცვა სამხედრო ორგანიზაციისაგან, თავისუფლება ხელშეუხებელი დარჩენილა.

მაგრამ თჳთ მონათა შორისაც კი არაოდეს არ გამქრალა თავისუფლებისადმი მიდრეკილება და სიყვარული. გაიხსენეთ რომაელთა მონების აჯანყებანი, გლეხთა აჯანყებანი ევროპაში საშუალ საუკუნეთა განმავალობაში, საგლეხო მოძრაობანი რუსეთში და მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ქალაქები ვერაფერს ვერ გახდებოდენ, სასოფლო, საგლეხო მოძრაობა რომ არ მოხმარებოდა და მიშველებოდა.

მაშ დიდი შეცდომაა იმის თქმა, სოფელი უთუოდ სამოქალაქო ჩამორჩენას და რეაქციას მოასწავებსო. პირიქით, ყოველ სოციალურ მოძრაობას მხოლოდ მაშინ აქვს წარმატება, როდესაც სოფელი და ქალაქი ერთად იზიარებენ მას, ე. ი. როდესაც ის საერთოა, ეროვნულია და აქაც, როგორც ყველაფერში, ცხადად ჩანს, რომ ნაწილი ვერ იქმს მთელობას.

მეორე მხრით, ახლანდელი სოფელი ძველებურს კი აღარა ჰგავს. როდესაც მარქსი სოფელს ჩამორჩენილობის, რეაქციის, სიმბოლოდ აღიარებდა, მაშინ სოფელი მართლაც ჩამორჩენილი, ქვეყნიერობას მოწყვეტილი, ბივარდნილი და მიყრუებული იყო. დღეს კი თჳთ მარქსისტებიც არ უარჰყოფენ, სოფელი რომ „გაქალაქდა“.

დიაღ! დღეს სოფელსა და ქალაქს შორის მეტი შემნაწევრებელი კავშირი სუფევს, ვიდრე ძველად, და მაშასადამე ერთიცა და მეორეც ერთმანეთისაგან მეტ გავლენასა და ზემოქმედებასაც განიცდიან. სოფელს შეაქვს ყველაფერი, რაც კი ქალაქს კარგი რამე მოეპოება: კარგი გზე

ასეთ მოქმედებას ხელს უშლიან პარტიული ცილისწამებანი, ჯგუფური ჯიუტობანი და ვაჭრობა ისეთი მოღვაწეების სახელით, რომელთა ბედი და უბედობაც ან სულ არ გვესმის და ან განგებ ვასხვაფერებთ. ჩვენგან დასახელებული კომისია კი სამუდამოდ ბოლოს მოუღებს ყოველ გვარ გაუგებრობას და საშუალებას მისცემს ამა თუ იმ პარტიულ მოღვაწეს უფრო გულდამშვიდებით იმუშაოს სასახვლოდ თავის ქვეყნისა და თავის ხალხისა.

მაშ, გაუმარჯოს ნათელსა და შეგნებულ საზოგადოებრივ აზრს, გაუმარჯოს იდეურ ბრძოლას.

ძირს პირადული და ბალღურ—ჟინიანი კინკლაობა!

ალექსანდრე ყიფშიძე—ფრონელი.

კიდევ მოგვშორდა ერთი სახელოვანი ქართველი!

უზომო შრომამ უდროოდ ამოხადა სული!

ვიტიროთ? ცრემლი აღარა გვაქვს.

ვიცინოთ ჩვენს უბედურ ბედზე?

რა, რა გვაქვს საცინელი, ოუმცა ხანდახან „სიცილი ცრემლზე უფრო მწარეა“!

მაშ, ვსდუმდეთ სამარესაკით და გულში ვზარდოთ ის უებრო სიყვარული სამშობლოსადმი, რომელიც თან ჩაიტანა სამარეში ძვირფასმა ალექსანდრემ.

— ვინ იყო ალექსანდრე ყიფშიძე?

წაიკითხეთ მისი **„მთიულეთი“** და იქიდან გაიგებთ, ვინც იყო ალექსანდრე.

წაიკითხეთ მისი **კახეთის ამბავი“** და მისგან რა უკლავდა გულს ალექსანდრეს.

წაიკითხეთ მისი „მთის არწივი შამილი“ და იგრძნობთ, რაც ასულდგმულებდა ალექსანდრეს!

ბევრი არა გვეყვდა ასეთი ქართველი!

ბევრი არა გვეყვდა ასეთი მუშაკი!

საქართველომ დაჰკარგა ჯკვიანი, დაკვირვებული, განათლებული მკვლევარ-მწერალი თავისი შავბედითი ცხოვრებისა.

ვიტიროთ? ცრემლი აღარა გვაქვს!

ვიცინოთ?... რა გვაქვს, რა, საცინელი უიღბლო ქართველებს: თვით ბედი დაგვცინის ჩვენ!

მაშ, ვსდუმდეთ და ამ დუმილში გამოვსჭედოთ ჩვენი მწარე ბედის დამამსობელი ბორობანი.

იქნებ უფრო დიდსანს შეგვრჩენ ხოლმე სასიქადულო მამულიშვილნი!..

დიდება მათ სახელს!

ია ეკალაძე.

ქართველი საზოგადოების საყურადღებოდ.

„სამშობლო“-ს გუშინწინდელ ნომერში მოითხოვდენ განსაკუთრებულ კომისიის დანიშვნას ილია ჭავჭავაძის მოკვლის მიზეზთა საბოლოოდ გამოსარკვევად

ჩვენის ფიქრით, საკითხს უფრო ფართოთა და ღრმად უნდა დაყენება, ვინაიდგან ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში ილიას მკვლელობისებური ბოროტება პირველი და უკანასკნელი არ არის. გაიხსენეთ, თუ გნებავსთ, საზოგადო მოღვაწისა და პატიოსან მუშაკის ვანო მაჩაბლის საიდუმლოებით მოცული გამოსალმება ჩვენი კულტურული ცხოვრების სამოღვაწო ასპარეზიდან. გაიხსენეთ აგრეთვე გულისა და სულის არა ნაკლებ აღმაშფოთებელი ბოროტება, რომელიც ამ დღეებში მოხდა.

ჩვენ მოგახსენებთ იმ ბოროტებაზე, რომელიც საქვეყნოდ გამოააშკარავა ნ. ნიკოლაძის პროცესმა, რომელი პროცესიც, თვით მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებით, აღძრულა „კავკასიაში ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა „დანოსის“ მეოხებით“ ერთი ამ მოღვაწეთაგანი თვით სასამართლომ დაასახელა, დანარჩენებზე კი საზოგადოებაში დაჟინებითი ხმები დადის. ყველა მათგანი კარგად ცნობილი ხალხია.

ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, რამდენად სამართლიანია ეს ხმები და მითქმა-მოთქმა და სწორედ ამისათვის მიუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია საბოლოოდ გაირკვეს საქმის ნამდვილი ვითარება: მართალია, თუ არა, რომ ჩვენი საზოგადო მოღვაწენი, პირადის შურით წაქეზებულნი, სრულიად უდანაშაულოდ აბეზღებენ ჩვენს მუშაკთ მთავრობის აგენტებთან?

ნ. ნიკოლაძე თვით ბრალმდებლის მიერ არა ჩვეულებრივ ნიჭის მქონებელ და განუსაზღვრელად დამსახურებულ კაცად იქმნა აღსარებული. ამ ბუმბერაზ კაცზე დაკისრებულ ვერც ერთ საქმეში ბოროტმოქმედება ვერ აღმოაჩინეს და თუ სასამართლოს რეზოლიუციაში კიდევ დარჩა ნასახი რევიზიის დიდ მოხელეთა სურვილისა, ეს სრულებით გასაგებია ყოველი ქართველი ინტელიგენტისათვის.

ამ გვარად, ნ. ნიკოლაძის პროცესმა ბრალდებულის სკამზე დასვა მხოლოდ ზემოდ აღნიშნული მაბეზღარნი და სწორედ ამათი ინტერესი მოითხოვს, რომ ეს საზიზღარი და არა მარტო პიროვნებისა, არამედ მთელი ერის შეურაცხმყოფელი ბრალდება, მომავალ თაობას არ ეანდერძოს, —სწორედ იმ პირთა სახელის აღსადგენად საჭიროა საქმის საბოლოოდ გარკვევა.

ეს საქმეც—უნდა გადაეცეს განსაკუთრებულ გამომძიებელ კომისიას ქართველ ინტელიგენტთაგან შემდგარს.

ჩვენდა სავალალოდ, არის კიდევ ორი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ამ გვარსავე გამოძიებას და რომელსაც შეეხო გაზ. „საქართველოც“ (№ 133.)

რა იყო იმის მიზეზი, რომ ჩვენი ეროვნული განძი, საუნჯე, მთელი ჩვენი ეროვნული დოვლათი თითქმის ერთ მესამედზე დადგა და უცხო კაპიტალისტების ხელში გადავიდა?.

თავის დროზე ქართველ მრეწველთა სურვილი იყო ჭიათურის მადნები შეესყიდათ. ამისათვის დიდ ავანსაც იძლეოდენ გერმანელი კაპიტალისტები, საჭირო იყო ხელშეკრულობის დადება ბერლინში, მაგრამ ამ საქმისათვის საგანგებოდ გაგზავნილმა კაცმა შესყიდვაზე უარი სთქვა, რის გამოც დღეს ჭიათურა და მისი დოვლათი უცხოელებს დარჩათ.

შეიძლება ამ შემთხვევაში რაიმე უნებლიეთი შეცდომა მოხდა, მაგრამ ამ საკითხსაც სათანადო გამოძიება სჭირია.

არც ერთს კომერციულ დაწესებულებას არ მოხდენია ისეთს ხელსაყრელ ეკონომიურ პირობებში დაწყება და განგრძობა საქმისა, როგორც ეს მოუხდა ჭიათურის საურთიერთო ნდობის ბანკ ს და არც ერთი კომერციული დაწესებულება კი არ არის ისეთს უმწეო და შერცხვენილ მდგომარეობაში, როგორც ხსენებული ბანკია.

ჩვენ არ გვინდა ყური ვითხოვოთ ყველა იმ მითქმა-მოთქმას, რომელიც ამ ბანკის გარშემოა ატეხილი, უყურადღებოდ ვსტოვებთ აგრეთვე აკაკი წერეთლის მიერ არა ერთხელ გამოთქმულ ეჭვებს ჭიათურის ბანკის ფულების ტრიალის შესახებ. საქმის ინტერესი მოითხოვს ყველა დავთარი დეტალურად იქნეს გადასინჯული და გამოკვლეულ იქნეს მიზეზი ბანკის ოპერაციათა დაქვეითებისა, რომ მომავალში ბანკმა შესძლოს სავსებით დააკმაყოფილოს მრეწველთა წარმოების საჭიროებანი. და როდესაც ნამდვილი მიზეზი გამოირკვევა, ცხადი შეიქნება, თუ რა მხრივ იქნება საჭირო მუშაობა ბანკის საქმეთა გამოსაგვარებლად. ეს კი დიდათ შეუწყობს ხელს ჭიათურის მრეწველთა წარმოების საჭიროებათა დაკმაყოფილებას ვინ უნდა იკისროს ეს საქმე?

იურიდიულად უფლება არავის აქვს ამ ბანკის საქმეებში ჩაერიოს, თუ თვით გამგეობა არ მოიწვევს მცოდნე პირთ. ქუთაითური პრესა მხარს არ დაგვიჭერს რა კი პირველად ჩვენ ამოვიღეთ ხმა. „ჩვენი ნეგობარი“ რაინდულად გამოექომაგა ისეთ პირსაც კი, რომლის გინებისა და წინააღმდეგო ბრძოლისათვის „ჩვენი მეგობარი“ არაფერს იშურებდა.

ჩვენ ვიკავდით რ. დათეშიძეს, როგორც ბანკირს, მაგრამ ეს ჩვენ ხელს არ გვიშლის ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ მისი შეცდომა გამოსწორდეს.

„ჩვენმა მეგობარმა“ არამც თუ მხარი არ დაგვიჭირა, ხელიც კი დაიფარა ბ-ნ დათეშიძეს და რაღაც ორჭოფობა დაიწყო.

ცხადია, ასეთი ორგანო და მისი ჯგუფი პირუთვნელ დახმარებას ვერ გაუწევს ჩვენი საზოგადოებრივი აზრის გაძლიერებას ის მუდამ დარჩება ვიწრო პარტიულ ინტერესების დამცველად, და ეს კი ყოველთვის ავნებს საზოგადო, საერო საქმეს.

ამ გვარად, ჩვენ გამოსაძიებელი და გამოსარკვევი გვაქვს არა ერთი და ორი საზოგადოებრივი საქმე,და რომ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს ყოველ-გვარ გაუგებრობას, ამიტომ გამომძიებელი კომისია პარტიათა გარეშე უნდა დადგეს და ამის წევრთა არჩევანი უნდა მიენდოს მთელ ქართველობას.

ჯერ-ჯერობით ამით ვათავებთ ჩვენს წერილს და კატეგორიულად მოვითხოვთ:

1) გამოძიებულ იქნას ილიასი და ვანო მაჩაბლის მკვლელობანი.

2) დასახელებულ იქნენ ნ. ნიკოლაძის დამბეზღებელნი.

3) გამოკვლეულ იქნას ჭიათურის საქმეები ყოველ მხრივ და 4) ყველა ამ საკითხების შესახებ დამუშავდეს ერთი საზოგადოებრივი აზრი ყველა ქართული ორგანოების დახმარებით.

ნ—ო ბ—ელი

დ ე ბ ე ბ ი.

გაზ. „სამშობლოს“ რედაქციას.

თბილისის თავად-აზნაურთა სადგილმამულო კომისია ქართველ საზოგადოებას ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის წევრის, დაუღლავ მუშაკის, ალექსანდრე თევდორეს ძის ყიფშიძის (ფრონელის) გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღეს, დილის 11 საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი უდროოთ გადაცვალებულის ცნობილ ისტორიკოსისა და ლიტერატორის ალექსანდრე თევდორეს ძის ყიფშიძის (ფრონელის) სულის მოსახსენებლათ.

◆ მღვდელმა რაჟდენ სანებლიძემ შესწირა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ტყავზე დაწერილი წიგნი (ძლისპირები და საგალობლები) ხელნაწერი საყურადღებოა და დაწვრილებით შემდეგ აღვნიშნავთ.

◆ ახალციხის მცხოვრები მიხეილ პავლეს ძე წალდაძე სთხოვს ქუთ. გუბერნატორს, ნება დართოს დაბა ბაღდადიდან 370 ფუთი ღვინო გაზიდოს დ. ახალციხეში.

◆ დღეს, 12 საათზე, ელექტროთეატრ „რადიუმში“ ახალგაზდა ლექტორი გრ. ხაინდრავა წაიკითხავს ლექციას, „მსოფლიო ომი და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა“

◆ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის უფროსს მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებული შაშკოვსკი ატყობინებს, რომ იგი შეუდგეს ტყემლის ტყლაპის ყიდვას, ჯარის საჭიროებისათვის. ფუთი დამზადებული ტყლაპი ეღირება 20 მანეთად. ტყლაპის გამყიდველებმა უნდა მიმართონ სამეურნეო სასწავლებლის უფროსს

◆ 17 ივნისს, საღამოს 9 საათზე, რუბანის ქუჩაზე ეგნატე თ. დამკოვსკიმ სიმთვრალის დროს დანით დასჭრა კოსტანტინე სპირდონოვი.

◆ სოხუმის ოდქის აფხაზთა თავად-აზნაურების წარმომადგენლებმა შუამდგომლობა აღძრეს მეფის ნაცვლის წინაშე, რომ, ვიდრე ხსენებულ ოდქში წოდებრივი საკითხი გადაწყდებოდეს, ნება მიეცესთ მათ იეოდიონ თავისი რწმუნებული, როგორც ეს არის ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში. მეფის ნაცვლის კანცელარიამ, საგარო ცხობების უქონლობის გამო, შუამდგომლობის განხილვა შემდეგი დროისთვის გადასდვა.

◆ კ ფოცხვერაშვილის ლექცია 22 ს ამ თვეს, ოთხშაბათს, ქ ოზურგეთში კომპოზიტორი კ ფოცხვერაშვილი წაიკითხავს თავისს ლ ექციას ქართული მუსიკის მაღალხარისხოვნობაზე. ეს მეათე ლექცია იქნება ამ საგ ანზე, ლექციაზე ეპისკოპოს ლეონიდის ცირკულიარით გურიის მთელი სამღვდელოებაა მოწვეული და თვითონ ყოვლად-სამღვდელოებაც დაესწრება. ცნობა მოვიდა, რომ ოზურგეთში უკვე კომიტეტი შემდგარა ლექციის რიგიანად შესახვედრად. ლექციას ფოცხვერაშვილი გაიმეორებს გურია-სამეგრელოს და იმერეთის სხვა დაბა ქალაქებშიც, აგრედვე ჩრდილო კავკასიის ოგრაკებზეც. საქმე ფრიად სიმპატიურია და, იმედია, საზოგადოება აქაც ისეთივე ყურადღებით შეხვდება, როგორც ბაქოში, ბაკურიანსა და ფოთში შეხვდა.

ზეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში სტუდენტის წერილში „გაკვრით“ შემდეგი კორექ. შეცდომაა: დაბეჭდილია დაგვრჩა სტუდენტობა, რომელთა დიდი დანაშაული იქნება ჩვენის მხრით, რომ დავეწაფოთ ბანქოს თამაშს ან ბადის თელვას (?) უნდა იყოს დაგვრჩა სტუდენტობა, რომელთაც დიდი დანაშაული იქნება ჩვენის მხრით, რომ დავწაფოთ ბანქოს თამაში ან ბადის თელვა. (?)

თბილისი.

ალ. ყიფშიძის გარდაცვალების გამო.

ალ. ყიფშიძემ 15 თიბათვეს ნაშუადამევის 3 საათზე იმუშავა თავის კაბინეტში, იმან შეადგინა 2 მოხსენებაბ. ერთი ამათგანი უნდა წარედგინა თავად აზნაურთა თათბირისათვის 1 მკათათვეს. ამ მოხსენებაში აღწერილია საქართველოს სოფლების ეკონომიურად დაქვეითება და ავტორი არკვევს, თუ რა გზით როგორი ღონისძიებაა საჭირო. მეორე მოხსენება უნდა წარედგინა სამეურნეო ბანკისათვის, რომელსაც ავტორი წინადადებას აძლევს კრედიტი გაუხსნას გომის მემამულეთა სინდიკატს და ფული მისცეს იმ მამულის შესასყიდლათ, რომელშიაც ამ ჟამად მოთავსებულია სინდიკატი

16 თიბათვეს ალექსანდრე ჩვეულებრივ ადრე წავიდა სამსახურში და ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე მუშაობდა, შემდეგ დაბრუნდა თავის სახლში ყაზბეგის ქუჩაზე, მაგრამ, მიუახლოვდა რა თავის სახლს, უეცრად გული წაუვიდა და დაეცა. ყველაზე ადრე მიეშველა მას იქვე მახლობელი მოვაჭრე კაცი და ყურების სრესა დაუწყო შემდეგ იქ შემთხვევით გაჩნდენ ბ-ნი ვას. კახიძე, ექიმი ბელანჟე და გრ. ბურჭულაძე ეს უკანასკნელი მაშინვე გაექანა განსვენებულის ძმასთან, გრიგოლთან, საბურთალოზე, ხოლო ექიმმა ბ ნმა ბელანჟემ სამკურნალო დახმარება სცადა, მაგრამ ამაოდ, საწყალს სისხლი ავარდნოდა ტვინში და მისი მობრუნება შეუძლებელი იყო.

17 თიბათვეს, შუა დღის 12 საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოში შეიკრიბნენ გუბერნიის მარშალი თავ. კ. ნ. აფხაზი, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. დ. ე ჩოლოყაშვილი, მდივანი თავად-აზნაურთა ი. ე ზურაბიშვილი, საადგილ-მამულო კომისის თავჯდომარე ბ ქურდიანი წევრი იმავე კომისიისა თავ. დ. ვ. ვაჩნაძე და სხ. და ითათბირეს განსვენებულის დაკრძალვის შესახებ. თათბირზე დასწრება კეთილინება გორის ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელომ ანტონმა და აგრეთვე დაესწრენ დეკ კ. ცინცაძე და დეკ სოლ. შოშიაშვილი. გადაწყდა, რომ განსვენებულის ცხედარი გამოასვენონ მისი ბინიდან (ყაზბეგის ქუჩა, სახლი №37) ორშაბათს, 20 თიბათვეს, საღამოს $5^1/_2$ საათზე, და მიასვენონ დიდუბის ეკლესიაში მეორე დღეს, სამშაბათს, 21 თიბათვეს, წირვის შემდეგ ცხედარს დაკრძალვენ იმავე დიდუბის ეკლესიის გალავანში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

17 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოში თათბირი იყო დანიშნული საადგილ მამულო კომისიის მიერ, რომელზედაც მიწვეულ იყვნენ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და ზოგიერთი საზოგადო მოღვაწენი. თათბირს უნდა შეემუშავებინა წეს რიგი დაკრძალვისა.

† ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე.

16 თიბათვეს, საღამოს 5 საათზე, უეცრად გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე (საშა) თევდორეს ძე ყიფშიძე. იგი სოფლის ღარიბი მღვდლის შვილი იყო. რვა წლის იქნებოდა, როცა მამამ გორის სასულიერო სასწავლებელში მიიბარა. იქ დაამთავრა კურსი 1878 წელს და მაშინვე გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ სწავლობდა მეოთხე კლასამდე და 1883 წელს სემინარიიდან გამოვიდა და აიღო სიმწიფის მოწმობა. ახალგაზრდა ალექსანდრე იმავე წელს გაეშურა უნივერსიტეტში, საისტორიო და საფილოლოგიო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა თბილისს და დაინიშნა თბილისის საგუბერნიო მმართველობის საკრებულოს მდივნად. ეს თანამდებობა მიტომ აირჩია იმან, რომ ხსენებულ დაწესებულების არქივში დიდძალი მასალა მოიპოვებოდა საქართველოს ისტორიისათვის ახალგაზრდა მოღვაწე არ შემცდარა: იმან მაშინ ზედმიწევნით შეისწავლა როგორც ეხლანდელი მდგომარეობა ქართველ გლეხ კაცობისა, აგრეთვე ისტორიული მასალები საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ ხანისა. სხვათაშორის, სწორედ მაშინდელი დაწერილია განსვენებულის საყურადღებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, განათების, წყალსადენის, მკურნალობის, სწავლა განათლებისა და სხ. მუნიციპალიზაცია, ან საერთოდ, სასოფლოდ, მოწყობა, მომხმარებელი და მწარმოებელი კოოპერატივები, მეცნიერული სწარმოო მეთოდის ხმარება და სხ. დღევანდელი მიწისმოქმედი—ბარბაროსი, განმარტოებული მუშა კი აღარ არის, არამედ კოლლექტივის, მუშათა კრებულის წევრია და საზოგადო დისციპლინას ემორჩილება; ერთი სიტყვით, მან უკვე შესდგა ფეხი განათლების, ცივილიზაციის, ხანაში

თავისი მხრით, ქალაქმაც ბევრი რამე ისესხა სოფლისაგან: ბაღები, თავისუფალი მოედნები, განიერი ქუჩები, ეზოები, სამეურნეო წარმოება და სხ. ერთი სიტყვით: თუ სოფელი გაქალაქდა, ქალაქი სოფლად გადაიქცა. აქ ერთგვარი სინთეზი მოხდა როგორც სოფელში, აგრეთვე ქალაქში. და ეს მიმართულება თანდათან იზრდება (იხ. ამის შესახებ ვანდერველდეს თხზულებანი).

დასასრულ, ახლანდელი სოფელი ძველი სოფლისაგან მით განსხვავდება კიდევ, რომ მარტო მახლობელ ქალაქთან კი არა, შორეულ ქალაქებთანა და სოფლებთანაც არის გადაბმული ეკონომიური კავშირით. მაგალითად, ზემო იმერეთი ამზადებს ღვინოს, ქვემო იმერეთი კი უმთავრესად სიმინდსა და იმერეთის ეს ორი ნაწილი მაშასადამე უმთავრესად ამ ორი ჭირნახულით არის ერთმანეთთან შეკავშირებული. რუსეთი საქართველოს ხილეულობისა და ღვინისათვის უდიდეს ბაზარს წარმოადგენს, რომლის სავსებით მოხმარება და გამოყენება მხოლოდ დროჲს საკითხია. თავისი მხრით საქართველო რუსეთის პურისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ბაზარია. მაშასადამე სოფელს სიმდიდრის ახალი, უშრეტი წყარო შეეძინა და იმავე დროს სოფლელის თვალთახედვა ძველს, ვიწროს, გარეშემოწერილ

რგოლს, კარჩაკეტილობას, სცილდება და საერთაშორისო, მსოფლიური ცხოვრების შესაფერს იზიარებს.

ამგვარად თანამედროე ეკონომიურმა პირობებმა ძირიანად შესცვალეს, როგორც სოფლის სამეურნეო ტეხნიკა და სამოქალაქო წეს-რიგი, აგრეთვე სოფლელის სამოქალაქო და საერთაშორსიო იდეალი და ფსიხიკა.

მართალია, თუთეულის მიწაში დამარხული მადნის აღმოჩენასა და თუთეული ქარხნის დაარსებას უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ განა ჩვენი ქვეყნის ზომიერ თბილი ჰაერი, კავკასიონის მთებით დაცული ჩრდილოეთის სიცივისაგან, ჩვენი მთაგორების გამაგემრიელებელი მარილიანი ნიადაგი, ჩვენი ხილის, ღვინის ბოსტნეულობის, ყველისა და სხ. კეთილგემოვნება, კეთილსურნელება და სხვა ღირსება—იგივე მადანი არ არის?? მერე რა მდიდარი მადანი! და განა სოფლის ქონებრივი სიმდიდრე მახლობელ ქალაქებსაც არ ამდიდრებს და არ ადიდებს?!

მაშასადამე, უპირატესობა არც ქალაქს უნდა მივაკუთნოთ და არც სოფელსა და მთელი ჩვენი წარმოებითი ენერგია წინასწარ აკვიატებულს ცალმხრივ მიზანს არ უნდა შევალიოთ. პირიქით, ჩვენი ეკონომიური ენერგია უპირველესად იმ საქმეს უნდა ხმარდებოდეს, რომელიც დროსა და გარემოებას უფრო შეეფერება, სულ ერთია, სამრეწველოა თუ სამეურნეოა სამოქალაქო სარბიელი.

ამგვარად, ჩვენი ეკონომიური იდეალია —სამეურნეოსი და სამრეწველო წარმოების ჰარმონიული, შენაწევრებული განვითარება.

ვასილ წერეთელი

ალ. ყიფშიძის ბინა ... ეკლესიის ... ...

ნაწარმოები „მთიულები 1804 წელს“.

დიდი მოძრაობის დროს, 1905 წელს, ალექსანდრე, როგორც ხალხის კარგი მცნობი და გულშემატკივარი, ქუთაისის გუბერნატორის ვ. ა სტაროსელსკისა და მეფის ნაცვლის თანაშემწის ბ ნ კრიმ-გირეის სურვილით დანიშნულ იქნა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად როგორც ბ-ნი სტაროსელსკი ისე ალ. ყიფშიძეც იმის მომხრენი იყვნენ და მტკიცედაც სწამდათ, რომ ძირითადი ცვლილებანი მშვიდობიანად მოხდებოდა. მათის მეცადინეობით მაშინვე გაუქმებულ იქნა სამხედრო წესები და ხალხის თავისუფალ მოძრაობას გზა გაეხსნა.

როგორც დამთავრდა მაშინდელი მოძრაობა, ყველამ ვიცით: ალ. ყიფშიძე, ისე, როგორც ბ ნი ვ. სტაროსელსკი, იძულებული იყო ქუთაისი დაეტოვებინა.

ამის შემდეგ გავიდა კარგა ხანი და თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოსთან დაარსდა საადგილ-მამულო კომისია, რომლის მდივნად მიწვეულ იქნა ბ-ნი ალექსანდრე.

ალ. ყიფშიძემ მწერლობა ახალგაზდობიდანვე დაიწყო, ჯერ ისევ სემინარიის მოწაფეობის დროს, როდესაც სემინარიაში მალულად სცემდნენ ყოველ კვირეულ ხელნაწერ ჟურნალს, რომელსაც ერქვა „ნორჩი ტვინი“ ბ ნი ალექსანდრე ერთი უმთავრესი თანამშრომელთაგანი იყო ამ ჟურნალისა რუსეთში წასვლამდე მან გაიცნო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ ახალგაზდა კაცში ჰხედავდა დიდ ენერგიას. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე გახდა მუდმივი თანამშრომელი მაშინდელ ქართულ დროულ გამოცემისა ბევრი ნაწერები აქვს განსვენებულს ილიას დროინდელ „ივერია“-ში. მისი ნაწერები მომეტებულ ნაწილად ისტორიული და ეკონომიური ხასიათისაა. იგი სწერდა თერგ დალეულის, ა ფრონელის და სხვა ფსევდონიმებით

ასე უდროოდ დაკარგვა ასეთ გულწრფელ და ენერგიით აღსავსე საზოგადო მოღვაწისა დიდი დანაკლისია ქართველი ერისათვის

განისვენე ქართველ ხალხის მოამაგევ; შენს გულწრფელსა და ნაყოფიერ მუშაობას არ დაივიწყებს ქართველი ერი. „ს.“

კნ. ნონო წერეთლისა.

როცა კნ. ნინო კონსტანტინე დადეშკელიანის ასულის მიცვალებისა და მისი ქველმოქმედების ამბავი გაზეთში ამოვიკითხე, წამსვე თვალწინ წარმომიდგა სვანეთის უკანასკნელი მთავრის კონსტანტინე დადეშკელიანის ტრაღედია.

აწ გარდაცვალებული ნინო წერეთლის კნეინა ამის ქალიშვილი იყო.

ჩემ პატარაობის დროს ჩვენი სოფლის გოგო-ბიჭები სამწყესურში და ყანის მუშები ეზო-გარემოში სულ „დადეშკელიანის ლექსსა“ მღეროდენ; აქვე მოვიყვან, რაც ჩემს მეხსიერებას შერჩენია:

დადეშქელიანის ქება,
განთქმული ქვეყანაზედა;
გაგარინმა შეუთვალა:
მეფეს ეახელ კარზედა.
კონსტანტინემ მოახსენა:
ავად გახლავარ ძალზედა,
სჯობს მაქედან რომ მიბრძანო,
დაბარებული რაზედა.
თუ მეფემ ბრძანა, ბატონო,
მე არ ვიქნები ვარზედა:
იქვე არიან ჩვენები,
მგონი ათ-ათი გვარზედა*).
იმათ რომ კარგი არა სჯირსთ,
ვფიცავ მცხოვრის ძალზედა;
მაგრამ შეტ წაგალ მირონთან,
ნათლულს მიმიდებს მკლავზედა*).
მხოლოდ მცალე, ტოლშვილსა
ტრემდი შეგუშრო თვალზედა:
მათ ეშინიათ მუხთლობის
ჰეტრეს ქალაქის კარზედა.
— სვანი ხარ, ვერ დაგენდობი:
გაიბარები გვარზედა;
მაგრათ მოიდგამ ფეხს მთაში,
ვედარ გიშოვით ბარზედა.
— შენს უზრდელობას ეს უნდა,
ხელი დაიდო ხმალზედა,
ასხეშა დიდი-პატარა:
ვერვინ გაუდგა ძალზედა.
ბაქრაძის სახლს მიაშურა,
ძალი მოადგა კარზედა;
სახლის კედლები დახვრიტეს,
ტყვია მოარტყეს მკლავზედა:
მთის ლომი დაიმორჩილეს,
სასხლი სდის არწივს ფრთაზედა.
გალმა სიალს გაიყვანეს,
ფეხი აუკრეს ქვაზედა;
თორმეტი ტყვია ესროდეს,
რბილი დაგლიჯეს ძვალზედა.

*) ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეთა სახლეულობის წევრნი.

*) კ. დ. იმპერატორის ნათლული იყო.

შეპყორობილნი წუთისოფელს უდროოთ ეთხოვებოდენ.

ამას კარგათ გრძნობდა კნ. ნინოს მამა და სწორეთ ამიტომ ჩაიდინა გმირობა თავმოყვარეობის დაცვისა, თავდიდება იმ ადვილად გასაგები პრინციპისათვის, რომელიც გვიკარნახებს: სამშობლოში გმირულად სიკვდილი სჯობია, უცხოეთში ნივთიერ ფუფუნებას.

თუმცა რუსთა ხელმწიფის ნათლული იყო, მაგრამ ძალიან კარგათ იცოდა, რომ გუბერნატორის მოკვლისათვის სვანეთის მთავარს თვალებს არ დაუკოცნიდენ და დახვრეტას არ ასცილდებოდა.

ასეთი გმირის ქალიშვილმაც, ნინო წერეთლის კნეინამ ახლანდელი დროის მიხედვით სწორეთ „წასაბაძი გმირობა ჩაიდინა:

ჩვენი საზოგადოებისათვის მაგალითის მისაცემათ უხვი შეწირულება გაიღო: 1,000 მანეთი წმ. გიორგის ეკლესიას შესწირა, სადაც გმირიმამა უსაფლავია და სადაც თვით უნდა დასამარდეს, 500 მანეთი „სინათლის“ სკოლას, 3,000 მანეთი კი წ.-კ. საზოგადოებას ქუთაისის განყოფილებას.

ამ იშვიათმა, წყნარმა, ხელ მოკლეთ და მშვიდათ მცხოვრებმა ქალმა, რომელსაც მაინც და მაინც არც ისე მდიდარი ნათესაობა ჰყავდა, რომ ასეთი უხვი ქველმოქმედების ხელი გაშალა,—მე საგმირო საქმედ მიმაჩნია.

საგმიროდ მიმაჩნიათქო, იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენი საზოგადოების წევრნი ზოგი გატაცებულია დღიური, ნივთიერი ფუფუნებითა და კმაყოფილებით და, რასაც კი იშოვის, ბედოვლათობით ფლანგავს და ანიავებს, ზოგი კიდევ ღუნწობის სენს შეუპყრია და, როგორც ასეთებს, რაც მონაგარი რჩებათ, ულირს მემკვიდრეთა ხელში გადადის ღა ესეც ბოლოს და ბოლოს ქვეყნისა და ერის ურგებლად იკარგება.

და როცა ჩვენ საზოგადოებაში თითო ოროლა ღვთისნიერი ადამიანი, საქვეყნო და საერო საქმის გულშემატკივარი გამოჩნდება, ჩვენ ასეთი მაგალითის მომცემი პირები გმირებად მიგვაჩნია

ახლად გარდაცვალებული კნ. ნინო დადეშკელიანის ასული დღეიდან გააბრწყინვებს იმ პატარა სიას, სადაც ჯერ ჯერობით მხოლოდ ორი სამი ქველმოქმედის სახელია აღბეჭდილი

ამ კეთილს პატიოსან ქველმოქმეს დღეს გამოეთხოვება მისიანები, დღესვე ლოცვა კურთხევით გაისტუმრებს ეს საა ქაოდან მადლიერი ქართველობა და ის დაწესებულებანი, რომელთა სასიკეთოდაც უხვი შეწირულება გაიღო

სარწმუნოება, თვინიერ საქმისა, მკვდარ არს

სამსონ ყიფიანი

სანთლის კრიზისი.

ბევრი ითქვა და დაიწერა ამ ერთი წლის განმავლობაში სანთლის კრიზისის შესახებ.

სანთლის შიმშილი იმისთანა საგრძნობი გახდა იმერეთის ეპარქიისათვის, რომ მათმა მეუფებამ ყოვლად სამღვდელო გიორგიმ ცირკულიარით მიმართა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას, სოფლებსა და ეკლესიებში მოეგროვებიათ სანთელი და დაწესებულ ფასებში მიეწოდებიათ საეპარქიო სანთლის საწყობისათვის. სამღვდელოებამ პირნათლად შეასრულა მათი მეუფების დავალება, მაგრამ გადარჩენილ სანთელს ბევრს ვეღარ მიუსწრეს, ვინაიდან გამოირკვა, რომ ჩარჩ-ვაპრებს უკვე მოესწროთ სყიდვა და ჩალის ფასათ ხელში ჩაგდება.

მდგომარე წლის იანვრის თვეში მოხდა იმერეთის საეპარქიო სამღვდელოების დეპუტატთა კრება. კრებამ დიდი ყურადღება მიაქცია სანთლის შიმშილის საკითხს. საეპარქიო სანთლის საწყობის სარევიზიო კომისიის თავჯდომარემ ბატ. ტრიფონ ჯაფარიძემ ვრცლათ განუმარტა კრებას, თუ როგორი ზომები მიიღეს მათ გადამალულ სანთლის აღმოჩენაში და აგრეთვე როგორ აკრძალოს მთავრობის დახმარებით რკინის გზის სადგურით სანთლის ცვილის ბაგაჟათ გაგზავნა და სხვა; მაგრამ სანთლის შიმშილის დაკლვას ჯერ ჯერობით არა ეშველა რა.

როცა გამოქნილმა ჩარჩებ'ა გაიგეს, რომ რკინის გზის სადგურიდან სანთლის ცვილის ბაღაჟათ გაგზავნა შეუძლებელია, ფოშტით დაიწყეს გზავნა ამანათებით.

— ჩვენ რომ მოწერილობა გვქონოდა ვისგანმე, აუარებელ სანთელს დავაკავებდით ფოშტაშიო, მითხრა ფოშტის ერთ ერთმა მოხელემ. თურმე ვაჭრები გზავნიდენ 12 გირვანქიან პარკებს ფასათ 65 კაპ. და გზავნიდენ დიდძალს წმინდა სანთელს. ამნაირათვე გზავნიდენ შაქარს და სხვა პირველ საჭირო ნივთების ამანათებსაც და სხვა.

იმედია, ამ გარემოებას აწ მაინც მიაქცევს ყურადღებას, ვისგანაც ჯერ არს; რომ როგორმე ცოტა მაინც გადავარჩინოთ ჩვენსავე მამულში მოწეული სანთელი და ჩვენსავე საჭიროებისათვის მოვიხმაროთ.

ნათქვამია: შინ რომ ბავშებს შიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო

ჩვენ სანთელი გვჭირდება და ამ დროს ჩარჩები, სხვაგან დიდძალ სანთელს აგზავნიან სხვადასხვა მოხერხებით.

თუ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, ჩვენს სანთლის საწყობს, რომელიც დიდ დახმარებას უწევს სასულიერო სასწავლებელს, დაღუპვა მოელის...

მდგდ. ვლ. მაჭარაშვილი.

პატარა ფელეტონი.

ვაშლეგი.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით აკრძალულია ოჯახებში ბანკოს ფულზე თამაში. დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან.

ოფიციალური ცნობა.

I.

ერთ ოთახში ყმაწვილები მაგიდას შემოსხდომოდენ და თამაშობდენ. წინ ფულები ეწყოთ მათ მოქმედებას მეტი დაკვირვება ეტყობოდა სჩანდა—დაინტერესებული იყვნენ საქმით და ამიტომ ვერ შეამჩნიეს, რომ მოხუცმა ნიკომ შემოაღო კარები და შემოვიდა.

—თქვენ!—მოთამაშეებმა ვერ გაიგეს.—თქვენ...— შეკრთენ, წამოდგენ და მორცხვათ თავი ძირს დახარეს.—როგორ ბედავთ ჩემს სახლში თამაშს, ისიც ფულზე!! გამეცალეთ, თვარა ახლავე დავაპერიებ თქვენს თავს! არ იცით, რომ ბანქოს თამაში აკრძალულია? სულელებო! აკრძალულიც რომ არ იყოს, მაინც არ უნდა ისვრიდეთ ხელს ამ ბილწ საქმით! განა არ იცით, რომ მაგ თამაშს ყოველთვის ცუდი შედეგი მოსდევს?..

—ზოგჯერ კარგიც, მაგალითად—როცა მოიგება—ჩაილაპარაკა ერთმა.

—ნუ ტიკტიკობ მეთქი!—შეუყვირა მოხუცმა. იქნება შენც თამაშობდი, შე გამოჩერჩეტებულო, შენა! მამაშენს გონია, კაი შვილი მეზრდებაო და შენ კი...

—არა, ბიძია, შენს შვილიშვილს არ უთამაშნია... ისე გვიყურედა...

—უკაცრავად, გაგაჯავრეთ! აწი აღარ ვითამაშებთ ფულზე...

—პატიოსან სიტყვას გაძლევთ—აღარ ვითამაშებთ! გვაპატიეთ, გვაპატიეთ! სთხოვეს ერთხმათ. მოხუცი დაცხრა.

—მოგვეწყინა— დაიწყო ერთმა:— და თავის შესაქცევათ დავიწყეთ თამაში.

—თავის შექცევა თუ გინდათ, განა უფულოთ არ შეიძლებოდა?

—კი, მაგრამ აღარ მოგვაგონდა! აწი აღარ შევცდებით! მხოლოდ უფულოთ თამაშს ნუ დაგვიშლი.

—კარგი, ითამაშეთ, მხოლოთ ხანდის ხან...

ყმაწვილებს გაეხარდათ. გადასწყიტეს ორი საათის შემდეგ ისევ შეკრებილიყვნენ და ეთამაშათ. მანამდი კი ბაზარში გავიდენ გასასეირნებლათ...

II.

საღამოა. ისევე იმ მაგიდას შემოსხდომიან ყმაწვილები. მოხუცი ნიკოც აქ არის: თვალს ადევნებს ფულზე არ ითამაშონო. თამაშობენ უხალისოდ სრულებით არა აქვს ინტერესი უფოლთ თამაშსო, სთქვა ერთმა. ყველა დეთანხმა.

—ყმაწვილებო, იცით—რა?—წამოხტა ზეზე ერთი: ბაზარში რომ ვაშლები ვიყიდეთ. ამოვიღოთ,—ვაშლებზე ვითამაშოთ, წარმოვიდგინოთ, რომ ფულია!

—ცულლუტო! ფულს ნი მიხსენებ! შეუწყრა მოხუცი. მაგრამ მალე დაამშვიდეს. ამოიღეს ვაშლები. ორი მოხუცს მიცეს. გაეხარდა! მშვენიერი ვაშლები იყო: დიდები, გვერდ წითლები...

—„კონჩინა“ პირველი ხელი—თითო ვაშლი!—წამოიძახა ერთმა. დეთანხმენ დაიწყეს თამაში. გამოცოცხლდენ.

—მიხამ კარტი მოიპარა! უნდა შევშალოთ თამაში! დაიძახა ერთმა. ატყდა ხმაურობა, ჩოჩქოლი. შემოსაკრავათაც კი მიიწიეს ერთმანეთისკენ ერთი ვაშლიგადაგორდა მაგიდიდან. ნიკომ აიღო, მონაახ ჯაყვა და გასჭრა. გაოცდა: შიგ ვერცხლის მანეთიანი იყო ჩადებული! მოხუცი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, ჩაკეტა კარები და ყველას წაართვა ვაშლები. გაუჯავრდა ყველას: აწი თქვენს ხელში კარტი არ დავინახოო. შეეხვეწენ—მოგვეცი ვაშლებიო, მაგრამ უთრა: აქედან გაიპარეთ, თორემ ახლა დავაჭერიებ თქვენს თავსო რა უნდა ექნათ—წავიდენ.

ნიკომ კი მეორე დღეს ერთერთ საქველმოქმედო საზოგადოებას თორმეტი მანათი გადასცა ეს ფულები ვაშლებში ნახა, შუაგულში— ჩარჭობილი ..

გერასიმე.

პროვინციის ცხოვრება,

12 ივნისს ახალ სენაკის მომხმარებელმა საზოგადოებამ დამფუძნებელი კრება მოიწვია კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ბ. გ. მაღნარაძე, მდივნათ ბ. ა ანჯაფარიძე. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ლ. დარჩიაშვილის ხსოვნას და შემდეგ შეუდგა სხვადასხვა საკითხის განხილვას.

პირველი საკითხი იყო: მოხსენება მომხ. საზ. „ნდობის“ დაარსებისა და მის მნიშვნელობის შესახებ, რომელშიაც ბ. ბახტაძემ დაახლოვებით გააცნო ხალხს კოოპერატივის ეკონომიური ღირებულება: სავაჭრო წარმოების დაწყების შესახებ. მცირე კამათის შემდეგ კრებამ ის დასკვნა გამოატანა, რომ დაიწყოს მომხ. საზოგადოებამ მუშაობა იმ თანხით, რაც დღეს მას ხელთ აქვს. 3) საკრედიტო ამხანაგობასთან დამოკიდებულება ხესხის საქმეში. ამ საკითხშიც შეთანხმდა როგორც კრების უმრავლესობა, ისე ბ. გაბილაია და ისურვეს საზოგადოებას [illegible] მებრ ხესხის აღებისა [illegible] ლება ექნეს საკრ. ამხან. 4) ნისიათ საქონლის გაცემაზე კრებამ უარი განაცხადა და მიღებული იქნა გაბილაიას აზრი, რომ მომხ საზ. ავანსის სახით აძლიოს წევრებს იგი, 5) საპაიო და საწევრო გადასახადის შემოტანის ვადაც კრებამ იმ მხრით განსაზღვრა, რომ დაევალოს მხოლოდ გამგეობას რაც შეიძლება დაჩქარებით შემოატანიოს ის წევრებს, 6) პაიების განსაზღვრა თითოეულ წევრთათვის. ამ საკითხმა ხანგრძლივი და საყურადღებო კამათი გამოიწვია. ბ. მხეიძე და ბ. გ. ლოლუა იმ აზრისი იყვენ, რომ შესაძენი პაის რაოდენობა არ განსაზღვრულიყო კერძო პირთათვის. ხოლო სხვანი თხოულობდენ პაის რაოდენობის განსაზღვრას ახლავე, ვინაიდანო, განაცხადა ბ. ვ. კანდელაკმა, ზოგიერთი ბოროტი პირი ცუდათ მოიხმარ ამ უფლებას, შეიძენენ დიდძალ პაის და ბოლოს საზოგადოებას დაამხობს იმ სახით, რომ გაჭირვების დროს თავის წვლილს თან გაიტანს.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით გადაწყდა: პაის რაოდენობა კერძო პირთათვის არ აღემატოს ათს ხოლო, რომელიმე საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულებას (მაგ. საკრ. ამხ.) მიეცეს იმდენი პაის შეძენის უფლება, რამდენსაც ისურვებს, 7) „ნდობის“ მომხმარებ. საზოგადოებას მოხსენდა აგრეთვე ამიერ კავკასიის კოოპერატიულ კავშირის მნიშვნელობა და გადაწყდა წევრათ შესვლა ამ კავშირში, 8) რაც შეეხება „ნდობის“ მოქმედებას მომავალში სენაკის რაიონის სხვადასხვა კუთხეში უმრავლესობამ ნაადრევათ სცნო ამ კრებაზე ამ საკითხის გათვალისწინება და შემდეგისთვის გადასდვა, 9) მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დაწერილებითი მოხსენების შედგენა მიანდვეს საგანგებო კომისიას, რომელმაც შემდეგი კრებისთვის უნდა წარმოადგინოს მოხსენება, 10) ბოლოს მოხდა არჩევანი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: ბ. ბეგლარ მიქაძე, ბ. ვ. კანდელაკი, ბ ა კალანდარიშვილი, ბ. ი. ძიმწარეიშვილი, ბ. ლომია, ბ. გ. შარაშენიძე, ბ. ი. ზესაშვილი.

დასასრულ კრებამ მოისმინა ოქმი და ბ. ვ. კანდელაკმა მოუწოდა ხალხს, „რომ 26 ივანობისთვეს სენაკში მოწვეულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაც დაესწრონ და მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ ფრიად საგულისხმო დაწესებულებაში.

კ.ლ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

ავათმყოფნი საუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაქებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს ხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ ხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის საფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

კოკულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწერავთ. ეველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მოშანიჭა სრული სისადე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)